



შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება საქართველოში მოქმედ ნორმატიულ აქტებს, აგრეთვე უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG).

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ძირითადი დანიშნულებაა უნივერსიტეტის ფარგლებში ხარისხის კულტურის განვითარება, რომელიც წარმართება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ავტონომიურობისა და აკადემიური თავისუფლების პრინციპების დაცვით.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ზრუნავს უნივერსიტეტის ფარგლებში ეფექტური ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბებაზე. ამ მიზნით ის ეყრდნობა გარე და შიდა შეფასების მექანიზმებს. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა საუნივერსიტეტო სივრცეში ეყრდნობა შემდეგ მნიშვნელოვან და ლოგიკურ ელემენტებს:

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯმენტი. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯმენტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინდიკატორია უნივერსიტეტის რეპუტაციისა და მისადმი საზოგადოების ნდობის უზრუნველყოფაში. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯმენტის გამართულობას განვიხილავთ როგორც ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მიზანმიმართული და ეფექტურად წარმართვის საშუალებას. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯმენტის საშუალებით ხდება დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულების გაზომვა, მათი შედეგების განჭვრეტა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ცვლილებების განხორციელება ან კურსის ცვლადობა ამ მიმართულებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, არის უნივერსიტეტის მართვის სისტემაში ინტეგრირებული მექანიზმი, რომელიც ეხმარება ინსტიტუციას ხარისხის შენარჩუნებასა და განვითარებაში. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმოადგენს სტრუქტურული, რეგულაციური და მეთოდური ელემენტების ერთობას, რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუციის ხარისხის უზრუნველყოფის გამართულ ფუნქციონირებას.

ხარისხის კულტურა, გამოიხატება ისეთი საუნივერსიტეტო გარემოს არსებობაში, სადაც ყველას მიერ მხარდაჭერილია ხარისხის უზრუნველყოფის მაღალი სტანდარტები და შესაბამის პროცედურები. ხარისხის უზრუნველყოფის კულტურა გამოიხატება როგორც სამეცნიერო-აკადემიური პერსონალის, ისე სტუდენტების მხრიდან სწავლა-სწავლების პროცესში მაღალი და ადეკვატური მოთხოვნების არსებობა-გაზიარებაში; თანამშრომლობაში საერთო საუნივერსიტეტო ღირებულებებისა და ამოცანების შესასრულებლად, უწყვეტი შეფასების პროცესში მონაწილეობის მზაობაში.

უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა არის უნივერსიტეტის მართვის სისტემის ნაწილი, შესაბამისად ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა განიხილება, როგორც სტრატეგიული მენეჯმენტის ნაწილი. ეს უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მაქსიმალურ მხარდაჭერას შიდა ხარისხის მექანიზმების განსახორციელებლად და ხარისხის შესაბამისი მაღალი კულტურის დასამკვიდრებლად.

აღნიშნულიდან გამომდინარე შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, როგორც მენეჯმენტის ინსტრუმენტი, დაიტერესებული მხარეების მოთხოვნებსა და საჭიროებებზე დაყრდნობით ეძებს მაქსიმალურად ქმედით გზებს დასახული მიზნების მისაღწევად და ორიენტირებულია მუდმივ გაუმჯობესებაზე. შესაბამისად, მიზანთან მიმართებაში იგი ხელმძღვანელობს კითხვით - რის მიღწევა სურს სისტემას?; მიზეზთან მიმართებით - რატომ ვახორციელებთ კონკრეტულ ქმედებას?; მეთოდური თვალსაზრისით - ადგენს როგორ აკეთებს კონკრეტულ სამუშაოს ხარისხის უზრუნველსაყოფად; აქტივობებისა და დასახული ამოცანის ოპტიმიზაციის კონტექსტში - არკვევს საუეთესო გზას დასახული ამოცანის შესასრულებლად.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიზნებია:

- უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ეფექტური და დროული განხორციელების უზრუნველყოფა;
- უნივერსიტეტში სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა;
- საქართველოს კანონმდებლობასთან, ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტებთან უნივერსიტეტის საქმიანობის შესაბამისობის უზრუნველყოფა;

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა სრულად იზიარებს შოკჰარტის ციკლის სახელწოდებით ცნობილ (PDCA) ხარისხის მართვის/უზრუნველყოფის ციკლურ პარადიგმას:

- დაგეგმე (Plan=P),
- განახორციელე (Do=D)
- შეამოწმე (Check=C)
- იმოქმედე (Act=A)

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ხორციელდება ოთხი ძირითადი მიმართულებით:

- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა;
- კვლევის და კვლევის შედეგების ხარისხის უზრუნველყოფა;
- სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება;
- სტუდენტთა მოზიდვა, პროგრესი, ჩართულობა და წარმომადგენლობა;

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს მაღალი აკადემიური სტანდარტების მქონე, დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განვითარებას.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ხორციელდება ოთხი პროცედურის საშუალებით:

- საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება, დაგეგმვა და შემუშავება;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება;
- საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება.

საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და შემუშავების პროცედურა ემსახურება ახალი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და

შემუშავების გზების, ძირითადი მოთხოვნებისა და პროცედურის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას.

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება, დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) საგანმანათლებლო პროგრამა თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიასთან;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული სწავლის მიზნები, რომლებიც ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში;

გ) პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

დ) უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები;

ე) პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით;

ვ) პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან;

ზ) ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

თ) სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

ი) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე;

კ) საგანმანათლებლო პროგრამაში ასახულია დასაქმების ბაზრის მოთხოვნები.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესი მოიცავს სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვის და განხორციელების, სისტემატური მონიტორინგის და ამ პროცესებზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცედურა მოიცავს მოქმედი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის აუცილებელ აქტივობებს/ლონისძიებებს, ასევე შეფასებისათვის გამოყენებულ სხვადასხვა ინდიკატორებსა და კრიტერიუმებს. პროცედურის განხორციელებით მიღებული შეფასება გამოიყენება მოქმედი პროგრამების გაუმჯობესებისა

და განვითარებისათვის, ასევე მუდმივად ცვალებად დასაქმების ბაზართან მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად ახორციელებს ქვემოთ მოცემული მონაცემების შეგროვებას და ანალიზს:

სტუდენტებთან დაკავშირებით

- პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა;
- პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირთა რაოდენობა (სულ);
- პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირთა რაოდენობა (პირველი ათი არჩევანი);
- პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირთა რაოდენობა (პირველი სამი არჩევანი);
- პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ უცხოელ პირთა რაოდენობა;
- პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა რაოდენობა;
- პროგრამაზე ჩარიცხულ უცხოელ პირთა რაოდენობა;
- აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა;
- სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;
- სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი (ზოგადად);
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად;
- სასერტიფიკატო გამოცდების შედეგები - კურსდამთავრებულთა რამდენი პროცენტი გავიდა, რამდენმა პროცენტმა გადალახა მინიმალური ზღვარი?
- გარე მობილობით პროგრამიდან გადასულ სტუდენტთა რაოდენობა;
- შიდა მობილობით პროგრამიდან გადასულ სტუდენტთა რაოდენობა;
- გარე მობილობით პროგრამაზე გადმოსულ სტუდენტთა რაოდენობა;
- შიდა მობილობით პროგრამაზე გადმოსულ სტუდენტთა რაოდენობა;
- კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგების მაჩვენებელი.

პერსონალთან დაკავშირებით

- პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა;
- პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი;
- პროგრამაში ჩართული აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
- პროგრამაში ჩართული უცხოელი პერსონალი;
- პროგრამაში ჩართული მოწვეული პერსონალი;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი;
- აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი;
- მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი;
- პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომები, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები, სახელმძღვანელო, მონოგრაფია, საგრანტო პროექტი და სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი).

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სხვადასხვა კითხვარების მეშვეობით სისტემატურად ახორციელებს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვას და გამოკითხვის შედეგების ანალიზს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად ახორციელებს სტუდენტთა მოსწრების მონიტორინგს. აგრეთვე ხდება შეფასების სხვადასხვა მეთოდში - წერიითი გამოცდა, ზეპირი გამოკითხვა, პროექტი, რეფერატი, ესე, პორტფოლიო, თეზისი, პრეზენტაცია, იმიტირებული პროცესი და სხვა, სტუდენტთა მიღწევის მონიტორინგი.

მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა განსაზღვრავს მოქმედი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს, მათი განხორციელების გზებსა და პასუხისმგებელ პირებს.

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარის - სტუდენტი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი მაქსიმალურ ჩართულობას.

კვლევის და კვლების შედეგები ხარისხის უზრუნველყოფა

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტატუსიდან გამომდინარე მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის შესაბამისი პირობების შექმნა და განვითარება.

აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტის კვლევის განვითარების პოლიტიკა ეფუძნება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცედურას, კვლევისა და მისი შედეგების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული მიღწევისათვის მნიშვნელოვანი მონიტორინგის და შეფასების განხორციელება ხარისხის სამსახურის მხრიდან, რომელთა ფარგლებშიც იგი უზრუნველყოფს:

რეგულარული ინტერვალებით უნივერსიტეტის შესაბამისი კვლევითი ფუნქციის სტრუქტურული ერთეულების კვლევის პროცესის და მისი შედეგების ხარისხის მონიტორინგის განხორციელებას;

უნივერსიტეტის კვლევითი ერთეულების სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასებას მათი კვლევითი პოტენციალის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით;

უნივერსიტეტის ყველა სამეცნიერო პროგრამისა და საქმიანობის სამეცნიერო, საზოგადოებრივი და ეკონომიკური მნიშვნელობის შეფასებას;

სადისერტაციო, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის სტანდარტებზე და დოქტურანტურისა და მაგისტრატურის დონეზე კვლევის მეთოდოლოგიის სწავლების ხარისხის შეფასებას და პერიოდული მონიტორინგის განხორციელებას;

კვლევითი აქტივობისა და კვლევის პროდუქტულობის ხარისხის მასალების შეგროვებას, გაანალიზებას და შესაბამისი მსვლელობის მიცემას;

ხარისხის განვითარების სტრატეგიის ისეთ განვითარებაზე ზრუნვას, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის და კვლევითი ერთეულების ცნობადობის გაზრდას.

სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სისტემატურად ახორციელებს:

- სალექციო პროცესის მონიტორინგს - ლექციას, სემინარსა და პრაქტიკულზე დასწრების, ასევე სტუდენტური გამოკითხვების გამოყენების გზით;
- სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების მონიტორინგს;
- საგამოცდო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს;
- სასწავლო პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგს.

მონიტორინგის შედეგების ანალიზის შემდეგ გეგმავს ადმინისტრაციული, დამხმარე და აკადემიური/მოწვეული პერსონალისათვის გარკვეულ ტრენინგებსა და ღონისძიებებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

სტუდენტთა ჩართულობისა და წარმომადგენლობის პოლიტიკა

სტუდენტთა ჩართულობა განიხილება ხარისხის მართვის და შეფასების მნიშვნელოვან ელემენტად. სტუდენტთა ჩართულობის პოლიტიკის განხორციელება გამოიყენება აკადემიური/კვლევითი პროცესების ინფორმირების, გაუმჯობესებისა და გაფართოების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სტუდენტთა ჩართულობისა და წარმომადგენლობის მიზნით სამსახური ახორციელებს:

- სტუდენტთა ჩართვას სწავლის პროცესისა და სწავლის შედეგების შეფასებაში;
- სტუდენტთა ჩართვას წარმომადგენლობით ორგანოებში;
- სტუდენტთა აზრის კვლევას, როგორც წარმომადგენლობის, ისე უშუალო გამოკითხვების სისტემით;
- სტუდენტთა ალტერნატიული გამოკითხვების გამოყენებას;
- სხვადასხვა პლატფორმებს და შესაძლებლობებს, სადაც მათ შესაძლებლობა აქვთ გამოთქვან თავიანთი აზრები და შეხედულებები;
- სტუდენტთა აკადემიური პროგრესის მონიტორინგს, პროგრამის დასრულების, სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის სტატისტიკური მაჩვენებლების გამოყენებას სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

ხარისხის სამსახურის პოლიტიკა კოვიდ 19 და სხვა საგანგემო სიტუაციების დროს

როგორც მთელ მსოფლიოში ისე ჩვენს უმაღლესი განათლების სექტორში კოვიდ 19 გამო შექმნილი გარემოება მოითხოვს ონლაინ და /ან შერეული სწავლის მიმართულებით ხარისხის უფრო დეტალური და განმავითარებელი სამუშაოების განხორციელებას, რათა შენარჩუნდეს

და განვითარდეს სწავლებისა და სწავლის შემდგომი მიწოდების და შეფასების არსებული მოდელი, მისი ხარისხი და ეფექტიანობა.

პანდემიის ვითარებაში ხარისხის სამსახურის ამოცანაა:

- უზრუნველყოს ხარისხის მიმართულებით საქმიანობა, რომელიც გათვლილია თუ რა ცვლილებები უნდა განახორციელოს მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით;
- გაუმკლავდეს არსებულ ვითარებას ხარისხის მონიტორინგისა და გაუმჯობესების გზით;
- გააგრძელოს სწავლებისა და სწავლის მაღალი სტანდარტების შენარჩუნება და მისი განვითარება შექმნილი ვითარების შესაბამისად;
- ისარგებლოს და ეფექტურად დანერგოს საერთაშორისო და ეროვნული დონის რეკომენდაციები და სხვადასხვა საშუალებები ონლაინ და შერეული სწავლების დროს ხარისხის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის.

ხარისხის სამსახურის პოლიტიკა შიდა და გარე შეფასების კრიტერიუმებთან მიმართებაში

ხარისხის სამსახური:

- უზრუნველყოფს სრულყოფილ და ეფექტურ მონიტორინგს ონლაინ და შერეული სწავლების ხარისხის შესაბამისობაზე უნივერსიტეტის მისიასთან;
- აკვირდება და აანალიზებს ონლაინ ან/და შერეულ სწავლებაზე გადასვლის გავლენებს ხარისხზე როგორც ცალკეული პროგრამების განხორციელების, ისე მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობის მიზნით;
- სასწავლო პროგრამების დიზაინისა და განვითარების თვალსაზრისით უზრუნველყოფს ყველა საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მოქნილობას და ახორციელებს სტუდენტებამდე პროგრამის ყველა კომპონენტის მისაწვდომობის მონიტორინგს ონლაინ და/ან შერეული სწავლების ვითარებაში.
- ახორციელებს უმაღლესი აკადემიური პროგრამების დიზაინისა და შინაარსის იმპლემენტაციის კონტროლს შესაბამისი სტრუქტურების მიერ პროგრამის ყველა კომპონენტისადმი სტუდენტების ნავიგაციის გამარტივების თვალსაზრისით;
- ახორციელებს პროგრამის შედეგების დროში მიღწევადობის მონიტორინგს და შეფასებას ონლაინ და/ან შერეული სწავლების ვითარებაში;
- უზრუნველყოფს ონლაინ და/ან შერეული სწავლის ვითარებაში სწავლისა და კვლევის შედეგების ხარისხს და შეფასების საიმედოობას;
- უზრუნველყოფს შეფასების აპელაციის სისტემის ფარგლებში აპელაციის შესაძლებლობის მოქნილობას და გამარტივებას სტუდენტისათვის;
- უზრუნველყოფს კვლევისა და კვლევის შედეგების ხარისხის მონიტორინგს და მხარდაჭერას.